

სიყვარული



ნან. ნადარეიშვილის

ზოგიერთ ადგილებში ლპორტუნისტებმა ხელი შეუშალეს ბავშვის დროულად აკრეფას და მოულოდნელმა თოვლმა ზიანი მიაყენა მის შენახვას.

— ვიწუ ან ჩემს ძილში როგორ მზვინივრად ავზავიბულა ბაბბა და გუული მიღაგო ბადაუთითიკაბიას!

№ 34 დეკემ. 1931

ჟანვარი 15 კგ.

ბალუჩიბა

ზღაპრული სინაეპილია შეუაზე



იყო და არა იყო. და ახლაც არის ერთი აღმასკომის თავმჯდომარე. მთელს რაიონს განაგებს ტფილისის მახლობლად. ჰქონდა ამ აღმასკომის თავმჯდომარეს ტყეში დამზადებული ათიოდე საუენი შეშა. და ამ ათიოდე საუენ შეშით ფიქრობდა იგი გაცეთებს:

— გავეყიდი ამ შეშას ქალაქში, ავიღებ ბლომად ფულებს... ამ ფულებიდან ავაზე-

და კმაყოფილი მუშტარი, ქალაქში გაისტუმრა.

ნად. სამიენის მიაღვენ ათ საუენ შეშას.
— ჩემია!
— ჩემია!
— ჩემია!—ერთმანეთს ეცილებიან საშე-
ვნი და არ ანებებენ შეშის წაღებას. ყვე-
ლა თავისკენ იწევა და ამიტომ შეშა არ იძ-
ვრის ადგილიდან. აღმასკომის თავ-
მჯდომარე უყურებს ამ სიერს და იცინის... იცინის...
აქვება სიცილითა.



მიჰყიდა პირველ მუშტარს...



ფულები ბლომად მიიღო...

დაწესებულებაში მუშა-მოსამსახურეებს გაუხარდათ შეშით მომარაგების საკითხის მოგვარება.

გაისტუმრა თუ არა პირველი მუშტარი, თავმჯდომარემ ხელშეკრულება დასდო ტფილისის მეორე-დაწესებულებასთან ათი-
საუენი შეშის მიწოდების შესახებ. გამოარ-
თვა ფული, ჯიბეში ჩაიდვა და ეს მეორე მუ-
შტარიც მზარულად გაისტუმრა ქალაქისა-
კენ.

რა თქმა უნდა ამ დაწესებულების მუშა-
მოსამსახურეებსაც გაუხარდა შეშით მო-
მარაგების მოგვარება.

ტფილისში არც კი იქნებოდა ჩასული ეს
მეორე მუშტარი, რომ აღმასკომის თავ-

სწორედ ამ დროს მეოთხე მუშტარი მოვი-
და შეშის შექაძენად.

— ქალაქში ყველა ამბობს, რომ თქვენ
უამრავი შეშა გაქვთ. თუ შეიძლება ჩვენც
მოგვეყიდეთ ათიოდე საუენი შეშა!—მოკრი-
ლდები უთხრა მეოთხე მუშტარმა.

— დიდი სიამოვნებით. სწორედ თქვენ-
თვის შექონდა შემონახული ეს ათიოდე სა-
უენი შეშა.—მიუთითა აღმასკომის თავ-
მჯდომარემ იმ ათიოდე საუენ შეშაზე, რომ
მელსაც ეწოდებოდნენ ძველი მუშტარები, მაგ-
რამ რომელიც ადგილიდან არ იძვრა.

— ეს ხომ ამითია და ჩხუბიც მოსდით;
ადგილიდანაც ვერ დაუძრავთ!—გაუყვირა
მეოთხე მუშტარს.

— მით უკეთესი რომ ვერ დაუძრავთ. რო-
გორც სჩანს, ერთმანეთს არც დანებებენ.
შეშა ისევ აქ დარჩება და თქვენ თამაზად
შეგიძლიან შეისყიდოთ ის.

წარმოიდგინე მკითხველო, რომ ეს მეოთ-
ხე მუშტარიც ისეთი გულმურყვილო აღმო-
ჩნდა, რომ „თავსატუნი შეშა“ შეისყიდა და
აღმასკომის თავმჯდომარეს ფულები მისცა.
აღმასკომის თავმჯდომარემ ისევ ვანაგრ-
ძობს გაყიდვას იმ ათიოდე საუენი შეშისა.

ნებ სკოლას, აღმასკომის, თეატრის სა-
ვადმყოფოსა და სხვა შენობებს. რაიონის
ყველა სოფლებში გაიყვან გზებს. ჩემს ხე-
ლქვეით მოსამსახურეებს მოუმიტებ ჯამა-
გორს, მეც მოვიმიტებ და, ერთი სიტყვით,
ისეთ სამოთხეს დავამყარებ ჩემს რაიონში,
რომ შევარცხვინე მასთან ღმერთის სამოთ-
ხე.




მიჰყიდა მეორე მუშტარს...

— კი მაგრამ, ანუ. თავმჯდომარე, როგორ
შესძლებ ანდენი საქმის გაცეთებას და ასეთ
შემგებლობას ამ ათიოდე საუენი შეშით?—
შეეკითხნ მას.

— თქვენ პანიკორები ხართ, — უთხრა
წყაროვით მას თავმჯდომარემ, — სხე ვიცი და
ჩემმა კუჭამ!

ამის შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარემ
ხელშეკრულება დასდო ტფილისის ერთ-
ერთ დაწესებულებასთან ათი საუენი შეშის
მიწოდების შესახებ. ფული ჯიბეში ჩაიდვა



შეშა ადგილიდან არ იძვრის... მიჰყიდა მეოთხე მუშტარს

მჯდომარემ ხელშეკრულება დასდო ათი
საუენი შეშის მიწოდების შესახებ ტფილი-
სის მესამე დაწესებულებასთან. ფულები გა-
მოართვა და მუშტარი გაისტუმრა.

თოვლი მოვიდა.
მუშტარები გაემგზავრენ შეშის მოსატა-

როგორ გგონიათ თქვენ, აღმასკომის თავ-
მჯდომარე ვერ შესძლებს დასახულ მიზნის
მიღწევას სხენებულ ათიოდე საუენი შეშით?
შესძლებს.

ისაილი


ოპორტუნისტის არია

გოგოს თუ არ სურს ფეხის მოფხანა,
აბა სინჯე და მოფხანე ფეხი...
უნდა შეიწყო ვერ იბროს და ხანას,
მერე კი—მარჯვნივ იბროსო კეხი...
ათვერ ვაზომე, ერთხელი გასჭერი,
რადგან გეჭირდება ტემპი დამკვრელო,
„ჯიბრში ჩადგომა“ სუ კიევაას, თორემ,
ოპორტუნისტო, პორტფელი ხელში!
სიტყვა სხვა არის, სულ სხვაა—საქმე,
მითხმა მტკიცე ყვედობით თავი...
სახლში თუ გარეთ ვარ მოქალაქე,
და გავიძახი: კულაყთან, ზავი!
ფული ჯიბეში არ ვაჩერებდა,
ლითოს კი—შესკამს ტყუილად უანგო,

იცოდეთ: ყავი რომ მობერდება
ოპორტუნისტი ხდება ორმაგი.
ოპორტუნისტი, პორტფელი ხელში!
ქაჩაქაში ხმალო ნუ მობრუნდები!
ტრამვაში ხარ, ტყეში, თუ ღრეში,
ოპორტუნისტი — „უკლონიში“ ხტები...
მინც მიფრინავს ცხოვრება წინ და—
ბანზე რომ შეხტე, ხრამში ჩახტები.
ეს, ჩემო ძმაო, კომპრესი მინდა.
რას იზამ, თუ კი არა გაქვს ძმარი.
სადაც კი წახვალ, ჯიბრში გიდგანან,
ზამთარი მოდის; მოვიდა ქარი;
ვიტრობე კალოზს მივიღებ სახამ.
საბანა.



მიჰყიდა მესამე მუშტარს...



შეითხველებს, ალბად, გაუყვირდებოთ, რომ ისეთი დინჯი იუმორისტი, როგორიცაა ვარ შე, ვილაც ჩაჩიბაიას ჩეჩმის შესახებ ვწერ და ამით ვაწყენ თავს წინანგის მხიარულ შეითხველებს. მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე ისე, რომ ფრიად დინჯი საკითხი ზედმე-წევნით ოხუნჯურ ხასიათს ღებულობს.

აი, ასეთია, სწორედ ჩაჩიბაიას ჩეჩმა!

ეს არაჩვეულებრივი ჩეჩმა არის. ის სრულებით არ ჰგავს იმ ჩეჩმებს, რომლებიც მოთავსებული არიან ყველა შენობებში, — ხშირად რამოდენიმე ერთ სახლში.

ჩაჩიბაიას ჩეჩმის მდებარეობას, მასში შემსვლელებს, სრულ უფლებიანებს და ამ უთოება მოკლებულებს, იცნობენ თითქმის ყვიროსა საფეხურებზე, დაწყებული სახალხო სასამართლოთი და გათავებული იმ დაწესებულებით, რომელზედაც ზევით აღარ შეიძლება გასაჩივრება.

ამ ჩეჩმაზეა დახარჯული ათას შვიდას სამოცდა რვა სამუშაო საათი, ანუ ორას ოთხმოცდათორმეტი მუშა-კაცი-დღე.

აქ ანგარიშში არ არის მიღებული ის დრო და ის მასალები, რაც იყო დახარჯული ამ ჩეჩმის გაკეთებაზე კერძო შესაკუთრის მფლობელობის ხანაში. აგრეთვე არ არის ნაანგარიშევი მიპატიე-მოპატიუების ხარჯები ამ ჩეჩმაზე საქმის წარმოების დროს.

ჩაჩიბაიას ჩეჩმის შესახებ არის დაწერილი და მანქანაზე დაბეჭდილი ათას სამას შვიდი ფურცელი ქაღალდი, — ნაწილთ ცალ გვერდზე, უმეტესობა კი ორივეზე.

ამოშრობილია ლიტრა და სპიჩარეტი შავი, წითელი და მწვანე მელანი.

გაფუჭებულია ოცდაჩვიდმეტი კალამი და გატეხლი სამი კალმისტარი. გამოურკვეველია კარანდაშების რაოდენობა.

* სრულებით არ ვეთანხმები ასოთამწყობს და კორექტორს, რომლებსაც სურდათ სახელწოდება „ჩეჩმა“-ს „ფენისალაგი“-თ, ან „საპირფარეშო“-თ შეცვლა. მართალია, ეს კეთხური, გურული გამოთქმა არის, მაგრამ იმდენათ სხარტი, მოკლე და მკაფიოა, რომ უკუქმანათ შეიძლება ხმარებაში მისი შემოღება.

დაბეჭდილია საბეჭდო მანქანის ერთი წყება ასოები და კანია დამძვრალი ექვსი მემანქანე ქალების საჩვენებელ შუა სათუთ თითებზე.

რომ არ ვიანგარიშოთ სხვა წერილმანები, როგორიც არიან: შიკრიკების ფეხსაცმელები, სავარძლების საჯდომები, მგდომარითა შარვლების უკანა ნაწილი, კიბეების საფეხურები, კარების საკიდური და სხვა ამ გვარი საგნები, რომლებმაც განიცადეს გაცვეთა ჩაჩიბაიას ჩეჩმის საქმის წარმოების ორი წლისა და ორი თვის განმავლობაში მარჯო ზემოხსენებული ხარჯები არის ათას ცხრაას ოთხმოცდა თვრამეტი მანეთი და ცამეტი შაური.

არ არის, აგრეთვე, ნაანგარიშევი გამოსასვლელი დღეების, შვებულების, დამზღვევ სალაროს და სხვა ასეთი ზედნადები ხარჯები.

აი, ასეთი ძვირფასი რამ არის ჩაჩიბაიას ჩეჩმა, მოთავსებული მერკვილადის ქუჩაზე, ოცდათორმეტ ნომერ სახლში, რომელიც წინეთ ეკუთვნოდა კერძო პირს, ვინმე ავალოვს (ეხლა ავალიშვილს) და დღეს კი ეკუთვნის საბინაო ამხანაგობას.

თქვენ კი გავიკვირდათ, რომ მე ისეთ უბრალო რამეზე, როგორც არის ჩეჩმა, — თუმცა ყოველ დღე ურ ცხოვრებაში ძლიერ საჭირო ყველა კულტურობა აღამიანისათვის, — ვაჩერებდი თქვენს ყურადღებას, რომელიც მთლიანად მიჩეუული უნდა იყოს ჩვენი ხუთწლედის ოთხ წელში გაქანებული ტემპებით შესარულებისაკენ.


ნურას უკაცრავად, თუ კიდევ მოგვისდეს თქვენი ყურადღების მიპყრობა ჩაჩიბაიას ჩეჩმაზე, ვინაიდან საკითხი კიდევ არ არის ამოწურული პოლიანად, რადიან მიუხედავად რამდენჯერმე ადგილობრივად დათვალიერებისა — სხვათა შორის, დამცველთა კოლეგიის 5 წევრის მიერაც, — გამოურკვეველია: ჩეჩმის გვერდზე ცხრამეტი მეტრი სივრცე საკუჭნაის წარმოადგენს, თუ სამზარეულოს.

ამის შემდეგ გამოჩნდებიან კიდევ ასეთი ურცხენი, რომლებიც დაიწყებენ მტყიცებას, რომ ჩვენი მართლმსაჯულება ნაკლებად აქცევს ყურადღებას კერძო მოქალაქეთა ინტერესების დაცვის საქმეს!..


ს. თ. ია.

ჩ ვ ე ნ ი მ ტ რ ე ვ ი

ნახ. ლონის



3



კულაკმა სთქვა: მაგრად ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო. ვენაცვალე ოპორტუნისტს, იგი ზრუნავს ჩემზედაო.

კოლმეურნეთ ბინა არ აქვთ, ბრაზი მოსდით ჩემზედაო. ვენაცვალე ოპორტუნისტს, იგი ზრუნავს ჩემზედაო.

გავიხეო- სერზედაო, ეს ვინ მოდის ჩემზედაო!? ნიანგია!.. დავიღუპე. მწყრალი არის ჩემზედაო.

ბ რ კ ე ნ ი მ ი უ შ ვ ი ნ ე ბ ა ს ა

— თუ ღმერთი გწამს ამისხენი ამ კორესპონდენტის აზრი. აქ სწერია:

„უქმფინისტრეტის კანცელარიაში ახუ იგივე საერთო განყოფილებაში ბევრი ყოფილი კენინა-მენინა თუ მდიდარი ხალხის ცოლები და ქალებია მოკალათებული“.

— ამას რა დიდი ახსნა უნდა? „მოკალათას“ სემზანურ ჟარგონზე მოკოლადს ეძახიან. პოდა, ყოფილი კენინები და მდიდრის ქალები თუ არიან, ცხადია, მისულობის ნაცვლად, კანცელარიის გამგეს რომ პირს არიებენ, ალბათ, მოკოლადს შეექცევიან. ნეტავი მათ! მხოლოდ კორესპონდენტს ეს რომ შეუნიშნავს, შეშურებია და გულისტკენით აღნიშნავს ამ თავისთვის მიუწვდომელ ბედნიერებას აღნიშნულ ბანოვანთა.

— დამიხედეთ კორესპონდენტის სივრცა-გეს! იმის მაგივრად, რომ მისულობის ნაკლოვანებებს მიხედოს და ყოველივე 'ეს გამოამყდენოს, თავისი პირადი ინტერესებით გატაცებულა და შურით გაბღინებული გაიძახის: „რკინის ცოცხით უნდა გამოგვაო“. ალბათ, ჰგონია, რომ თუ გამოგავს, ერთი ორი „პოლიტკა“ მოკოლადი როგორმე მეც მომაწევსო.

— მამა მის აქვს ცხოვნება, იმდენი, რამდენიც მას რამე მოუწიოს, ამ ტუბილულო ბის უხვი მოთხოვნების პერიოდში კარებიდან გარედ გამოგვიღო მოკოლადს კი არა, ნაოფლარი ფულით ნაყიდსაც არავინ

შეგარჩენს, სულ ხელიდან წაგტაცებენ.

— კორესპონდენტს კი, როგორც სჩანს, ძალიანი იმედი ჰქონია თავისი თავისა, უკაცრავათ, თავისი ხელისა: ორი თუ არა, ერთი „პოლიტკა“ ზომი მინც კი მომიწევსო, ალბათ, ასე ჰფიქრობდა, როცა ამას სწერდა. სხვანაირად აღნიშნული ტექსტის ახსნა, შენი არ იყვეს, ყოვლად შეუძლებელია.

— ცხადია, როგორც „პრობკა“! მე იმ თავიდანვე მივუხელი კორესპონდენტს. საზოგადოთ ქართულ ნაწერში ვერცხვეი და აქ თავის გულის ნადებსაც ადვილად ვერაგინ გამომაპარებს.

— ჰეშმარიტად! თქვენი ახსნა ზედმიწევნითი იყო და არის. აი, თუ გნებავთ, შემდეგ რასა სწერს კიდევ კორესპონდენტი: „ვიღაც ბებია ამას ხელს აფარებსო“.

— ახლა ხომ შინც დარწმუნდით, რომ მოკოლადზე ყოფილა ლაპარაკი?

— დავრწმუნდი და მეტი არა? ამაში რომელი ბრყვი შეიტანს კიდევ ექვს? მოკოლადს, შენ ხარ ჩემი მატონი, ბებია და გამოცდილი კი არა გამოუტყდელი ბავშვიც კი დააფარებს ხელს.

— რა თქმა უნდა, ეს ასეა. და არა თუ ეს, აქ შეცდომაც რომ იყვეს და „აფარებს“ ნაცვლად „აპარებს“ თქმა რომ სდომოდან კორესპონდენტს, როგორც კორესპონდენტის აზრი, ისე თვით კორესპონდენტის პირადი განწყობილება მაშინაც გასაგები,

ხოლო ჩვენ მიერ უკვე გაგებული და გამოჭერილი ოქნებოდა.

— უდავოა, მოკოლადისკენ რომელი სულელი არ გააპარებს და გააცოცებს ხელს და, თუ ამას საქმე მოითხოვს,—ფესსაც.

— ცხადია! და ზრქენი ტიპები დიდხანს აკლავდენ თავს კორესპონდენტში მოთავსებული უბრალო აზრის სიღრმისა და კორესპონდენტის გულის ნადების სიმძიმის გამოკვლევას. კომენტარიები კომენტარიებს მოსდევდა და ორივენი რწმუნდებოდენ თავიანთ აზრთა შეურყველობაში.

საქმე კი უბრალოდ სწყდებოდა: სიტყვის აწყობის დროს ასოთ-ამწყობმა ასო „მ“-ს ნაცვლად „შ“ დასვა სიტყვის თავში, რის გამოც, გამოვიდა: „მოკალათებული“— „მოკალათებული“-ს მაგივრად. მაგრამ, რადგან ცარიელ კალათზე მსჯელობას, ისევე „მოკოლადზე“ ცრუ და, თუ გნებავთ, განბერილი მსჯელობა სჯობია, ამიტომ ჩვენც ბოლომდე ვუსმინეთ ჩვენს ბრქენ მოსაუბრეებს და მათი დროზე გამეფლება მიზნათ არ დაგვისახავს. არ გვინდოდა ჩაგვემწარებია მათთვის ტუბილი მუსაიფი, თუმცა შეგვეძლო ამისათვის მიგვეცა პოლიტიკური შინაშენელობა და მიგველო შესაფერი ზომებიც საბჭოთა კორესპონდენტის პრესტიჟის დასაცავად.

პანირა.



დილა მშვიდობის მელომენის დიდო ოსტატო, შენ, ჩვენო კოტე, რეჟისორო დრამა - ოპერის, რომელსაც მძიმე კურტანივით ზურგზე გკიდია ორმოცი წელი ხელოვნების სამსახურისა და იუბლე გადაგიხადეს გუშინ, გუშინწინ. მართალია არის ამ ზეიმზე მეც დავესწარი, ისიც სწორეა რომ მე მსურდა სალაში მეძღვნა, ქება შემესხა სასახელო შენის ღვაწლისთვის, რომელიც ეგრე ბრწყინვალეა და საამაყო, შთამომავლობის მისაბაძი, სამაგალითო. მაგრამ ეგოდენ დიდი იყო ტრიბუნთა რიცხვი, ზღვათოდენი მოლოცვები, მოსაღებანი ყოველის კუთხით პონტოსიდან ჰელესპონტამდე, რომ ეოლოსის ყურთა სმენაც დაიღებოდა, რომ იქ ნაფქვამთა სხვა რეჩებიც დამატებოდა. ამიტომ მაშინ უარი ვსთქვი სიტყვისა თქმაზე და გადავსწყვიტე ცალკე, ძმურად მოვსაღებოდი, როცა ზეიმი ეგზომ დიდი დამთავრდებოდა. და დღეს მით უფრო საამოდ მიჩნს შეხვედრა ჩვენი, რადგან შედეგებს ხელშესახებს მე ვხედავ დღესა, რაც შენ გახარებს ვგრძნობ უზომო სიხარულითა


კოტბი:

აი მიზეზი ძმაო ნიანგ, აი მიზეზი: მართალი არის უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ჩემის ხელით ვიმიკი იმა ღვაწლისა შედეგს, რაც მითესია ორმოცი წლის გოძელსა მანძილზე თეატრალური ხელოვნების ასაყვავებლად და თვალთ ვხედავ, რომ ჩემს შრომას არ ჩაუვლიო ანაოდ, ფუჭად, უსარგებლოდ და უშედეგოდ. ვხედავ, რომ თეატრს განახლებულს დაეპატრონა

მშრომელი მასა, შემომქმენი ახალ ცხოვრების და მძლავრ ტრიბუნად გადაიქცა ქართული სცენა ახალი ყოფის და დიადი მშენებლობისთვის! ეხედავ განდევნა ხელოვნებამ ძველი ხალტურა და ცრუკლასიკურ პათოსსა და პატრიარქალიზმს დღეს კულტურული სახიობა სცვლის ვით შედეგი რევოლიუციის ხელოვნების ამ მაღალ დარგში და დღეს ქართული წარმოდგენა ქართულ თეატრში არის ანვარა, დახვეწილი, როგორც „ცხვრის წყარო“, როგორც „პოემა ფოლადისა“ ისეა მკვეთრი და საარსებო როგორც „პური“, დღეს ვხედავთ „რო-

„ლიანდაგები გუგუნებენ“: „ჰობლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ და ჩვენს სიცოცხლეს აქვს ნამდვილი სალი ფესვები, სალი ფესვები ღრმად გადგმული ხალხისა გულში. ეს ყველა ვიცი, აკი ვამბობ, ეს ყველაფერი უმეტესაკლებოდ დასასტურდა იუბილეზეც სადაც მე მიძღვნეს უთბილესი მისაღებანი დამასაჩუქრეს არა მარტო გრძობით და ფულრთ, არამედ მთელი დაზგებით და მანქანებითა, მომცეს ბილეთი ტრამვაისა მე სამუდამო, უკვე ჭალარას დამიარსეს სტიპენდიები და ათას რამის საპატიო წევრად გამხადეს... ეს ყველაფერი მე მახარებს, მამდნიერებს, მაგრამ გამიხდა საჭოკმანოდ ესე კითხვები: რეკონსტრუქციის პერიოდში დაზგის გაცდენა დანაშაული არის დიდი და სად ვისწავლო მე ხარატობა, ზეინკლობა, მემანქანობა, რომ ეს დაზგები, მე რომ მიძღვნეს, ავამუშავო? ან ამ ბილეთს ტრამვაისას რას ვაქნევ, როცა ვაგონში შესვლა მაცისტსაც კი გაუჭირდება, და მაცისტობას მე მიკლია თითქმის მტკაველა? ამგვარ ხლაფორთში გადამავდო მე იუბილემ და თუ კონკრეტად არ მოგვარდა ეს საკითხები, ვფიცავ, ჩემს გულში ღელვის ხანძარს ვერ ჩაანელებს ლაღო კავსადის ნაფეშქაშარ ტიკორის ჩქერიც.

ზარსადან



— კხარა, გმყოფათ, დასცალეთ სმენა, მოღის ახალი შემოქმედ შემოქმედებაი

ნახ. დონის

ღია ზარათი შის—ჩინეთის დელეგატს ერთა ლიგაში

გამარჯობა ში! სად დაიკარგე, კაცო ამდენი ხანი? რატომ ერთი წერილი არ მომწერე. მართალია, ერთა ლიგაში ბევრი საქმე გაქვს გასაკეთებელი, კიდევ გააკეთე ბევრი და ალბად ასევე ნაყოფიერი იქნება მანდ შენი მოღვაწეობა მომავალშიაც, მაგრამ არც ისე ვარგა, რომ ყურებამდე ჩაიხირო სახელმწიფო საქმეებში და უკან არ მოიხედო.

ჩემო კარგო ში, სახამდე ფიქრობ მანდ დარჩენას? იაპონიამ უკვე მიასწორ-მოასწორა მთელი მანჯურია და შენ მანდ ერთალიგის ოქმების კითხვით თვალებს იფუჭებ. დაილღეები ში! წადი შინ. რას ჩააცივდი ამ ერთა ლიგას?

რა უდნა გაგიკეთოს იმაზე მეტი, რაც გააკეთა? რას ერჩი. ხომ მიგილო ერთა ლიგის თავმჯდომარემ, ხომ მოგისმინა, ხომ გაიგო, რომ შენ უკმაყოფილო ხარ იაპონიის თავდასხმით?

მართალია უსინდისოთ მოიქცა იაპონია! არ უნდა ეკადრებია მანჯურიის დაკავება, შარა რას იზამ ეხლა. რომ გცოდნოდა ამას იზამდა და რომ საშუალება გქონოდა, ე. ი. არმია რომ გყოლოდა გაწვრთნილი და მომზადებული, ქე ვიცი რასაც უზამდით მას. სულ კუდით ქვას ასროლიებდით, მაგრამ ეხლა რაღაი! ჭამე სირცხვილი, მარა რას იზამ მარტო შენ ხომ არ გიჭამია, ყველამ ჭამა სათითაოდ, ყველა ჩინელმა გენერალმა.

ერთა ლიგის იმედი მე საერთოდ არ მქონდა. ეს მგონი, შენ რამდენიმეჯერ გითხარი. შენ ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებდი მასზე და ამიტომაც წარუდექი ხოლმე ბრიანს. შენ აღმოჩნდი მართალი, თუ მე ამის შესახებ მოკითხვის წერილში არ მინდა ვილაპარაკო, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ კიდევ ყოჩაღად იყო ერთა ლიგა, რომ მდგომარეობის გამოსარკვევად კომისია დანიშნა.

მართალია, კომისიას გამოსარკვევი ბევრი არაფერი ექცება, რადგან მანჯურიის ტერიტორიაზე მას იაპონია არ გააჭაჭანებს, როგორც ეს არა ერთხელ გამოაცხადეს იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაგრამ თვით კომისიის გამოყოფა განა ცოტა საქმეა?

კომისიას არ ექნება არც კონფლიქტში ჩარევის, არც ჯარების მოქ-

მედების ზონაში შესვლის და არც რომელიმე მხარეზე ზეგავლენის მოხდენის უფლება, მაგრამ რა უჭირს მერე? შორიდან ყურებაც საქმეა თუ არა! მთელი ჩინეთი რომ დაიპყროს იაპონიამ, კომისია ამას თავის თვალთ ნახავს, მიიღებს განცდებს და შთაბეჭდილებებს და როცა დაბრუნდება ერთა ლიგას მოუყვება ამბავს. განა ეს ცოტა საქმეა?

რამდენი გამბედაობა უნდათ კომისიის წევრებს, რომ მათ ზარბაზნების და ტანკების გრიალი ისმინონ და

არ გაუსკდეთ ფული. ხუმრობა საქმეა— რას ამბობ ჩემო ში?

ჰოდა, ჩემო ში, აწე ქე წამოდი შინ! ერთი თოფი შენც დაიკავე ხელში, ყოველშემთხვევაში ერთ-ტყვიას შენც ქე გააცივებ, კაი ხოხლონც ბიჭი ხარ.

ერთა ლიგამ კომისია გამოჰყო, მარა საკითხს მაინც ბრძოლის ველი გადასჭრის საბოლოოდ. ბრძოლაში ხსნა ჩემო ში, ამიტომ უჩქარე შინ! შინ, ჩემო ში!

სეზვირ-გენ-შიის.

მოლიკულ გზაზე

ნახ. დონის



მეზარჯვენი— „მეზარცხე“ ოკორ. ტუნისტაბი: — ერთმანეთს დავებმართ, თორემ დავეცემით... (მაგრამ ორიგენი და იცენ).

6

ეს იყო სულ ერთი კვირის წინ პარიზში. შეიკრიბნენ ბურჟუაზიული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები. იშვიათი სანახავი იყო „ტროკადერო“-ს უზარმაზარი დარბაზი. ათას ორმოცდა სამი დელეგატი ჩამოვიდა, სამას სამოცდა ორ ორგანიზაციის წარმომადგენელი. მერე რა ხალხი არ იკითხავთ? სულ ყველა ომის მოწინააღმდეგე, მეტ სახელად „პაციფისტები“... რაგორც თქვენი ღორის ზორკის 'კაბა მე არ მინდა, ისე არც ერთ მათგან' ომი არ უნდა. არც ერთ მათგანს სისხლის დგრა არ უნდა, ე. ი. არ უნდა საკუთარი სისხლის დაღვრა.

აქ იყვნენ ბურჟუაზიული ქვეყნების ყველა ყოფილი მინისტრები, პოლიტიკური კარიერისტები, გაკორუმბული პოლიტიკოსები, ყველა ჯურის ხუცები, მართლმორწმუნე მანდილოსნები, ბულვარული მწერლები. ამას ეწოდებოდა ბურჟუაზიული პაციფისტების საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესზე სიტყვა უნდა წარმოეთქვათ იანთ „ტუზებს“, როგორც არიან ერთი, ლორდ-სესილი, აენლევე, პოლ ბონკური, ამ დაიჩქინებულ „პაციფისტებს“. მათ უნდა დაემტკიცებიათ, რომ ტყვია, რომელიც კაკალ გულში მოხდება კაცს, უსათუოდ მოჰკლავს და ამიტომ არ არის საჭირო იარაღი; კაი საქმეა განიარაღება საყოველთაოდ, და საერთოდ ომიანობა და შფოთი არ არის სიმპატიური მოვლენა.

დარბაზი, როგორც მოგახსენეთ, გაქედნილი იყო. ორატორები იდგნენ ტრიბუნაზე, მაგრამ... როგორც ვა აღებდენ პირს სიტყვის სათქმელად, ასტყდებოდა ზმულია, ზრიალი, ბრახუნა.. ზოგი სიმღერას იწყებდა, ზოგი ცივი ხმით გაჰყოლა: მოგაგონდებოდეთ კატების კონცერტი.

ფრანგებმა ძვირადღირებულ ბინეპალმეს მეთაურობით ქანდაკები და ლოუები დაიკავეს ისევე, როგორც იაპონიამ მანჯურია. მალე კონგრესის მონაწილეებმა წაიკაპიწყეს მკლავები და ერთმანეთი გამოიწვიეს ბოქსში. ზოქი გადავიდა ფრანგულ ჰიდაობაზე, ჰიდაობამ მიიღო ცხვირპირის მტერების ხასიათი, იდგებოდა აისხლი ცხვირიდან, ყურებიდან, ქალები იკაწრებდნენ პირის სახეს.

თვით ტრიბუნაზე რამდენიმე მძიმეთ დაქრილი ორატორი სულს ძლივს იბრუნებდა. ისტაქი ხომ დაიფარა დაჭრილ-დასახინებულლებით. საწყალი ლორდ სესილი გულწასული ძლივს გაათრის უკან კარებიდან.

ასე დაუმტკიცეს „პაციფისტებმა“ მთელს მსოფლიოს, რომ ისინი ყოველგვარი შფოთის და ომის წინააღმდეგი არიან. საუკეთესო არგუმენტი ამისი იყო დაჭრილ-დასახინებულლების სასწრაფო დახმარებას მანქანით თრევა „ტროკადერო“-ს სასახლიდან.

პარიზელი ნიანგკორი.

სიღნალი ვარ ბამბის ფრონტზე. გადავავლე ველებს არხი. ალაზანი მენმარება, შემობრუნდა ჩემი ჩარხი. ენ რკინის გზავ, რას მიწერები? შინზე მუდამ მომდის ბრახი, შირაქის ცელს შემოგველე ამოხეთქა ნათვის ვაზი.

— გურჯაანი ვარ მეგობრებო რათ არ გინდათ მეც მისმინოთ, ხომ იცით, რომ ნაქებია გურჯანული თეთრი ღვინო.

— სხვა სოქვი, თორემ ღვინო ჩემი შენზე უფრო ქვევრში ელავს; ვინ არ იქნაბს კახეთის გულს პატარა ბიჭს, კოხტა თელავს.

— ლუშეთი ვარ, ხედავთ—კულაქს, გავადინე ცრემლის ღვარი. კოლმტივებს წელს ვუმავრებ, შევეაერთე მთაში ცხვარი.

— გამარჯობათ! მეც მომეცით

სიტყვა მოკლე ორჯერ ორი სოცშეჯიბრში გამოვსულვარ ქართლის გული ქალაქ ვარი, ის ვახლავარ სხვა ქალაქებს, ათას ტონებს ხილს, რომ ატანს ყველამ იცით რაც გემო აქვს გორის ვაშლს და სათლელ ატამს. გორი კიდევ ათასობით საკონსერვო პროდუქტს უშეებს ხახვს, კარტოფილს და კომბოსტოს მე უგზავნი ქარხნის მუშებს.

— სტალინისი არ ვიკვებნი, თვალს თუ ვინმე გადამავლებს ბლომად ნახავთ შეკეთებულს ჩემს რონოდებს, ჩემ ორთქლმავლებს.

— ბორჯომი ვარ, მოსმინეთ, ცნობილია ჩემი წყალი. ნაქენარ — ტყეში საკურორტო შემოვხაზე მიწის რკალი.

ქნელ—ოლლი. (გაგრძელება იქნება)

ნახ. მარიამის



სტალინისი:—მე შენი იმედი მქონდა, მქონდა, რომ მომშველბოდი ამ ხეზე დაჯახებისას!
 ვჩანაქი: — როგორ მოგშველბოდი, როცა თვითონ დავეცი დაჯახებისას!

ბუნების
მოყვარული



შეშის დამამზადებელი: — მისაყვედურებენ — შეშა არ დაამზადე ქალაქისთვისო... რა სჯობია თოვლის მშენიერ სანახაობას, ადარ ჰბოლავს ღუმელთა მიღები!

გზადღეგა **კენის გზის** **საქმიანური ნომერი**
თანამშრომლებს გთხოვთ მოგვაწოდონთ მასალები

აზიაშია ქვეყანა,
სახელად იაკონია.
იქ მისასვლელად თქვენ უნდა
გასცუროთ გრძელი ფონია.
გამოღმა სცხოვრობს ჩინეთი
და მისი მანჯურია,
რომელსაც იაკონია
უღრენდა როგორც მურია.
„ერთ მმეწენიერ დღეს“ მსუნამა
თავსა დაეცა ანაზღათ,
და მისი მუნ მანჯურია,
საწყალ კრაისავით განაზღა.

— რა დაგიშავე? რას მერჩი?
შეგკადრა მანჯურიაში.
მაგრამ შეკითხვა ასეთი
თავდამსხმელს აღარ იამა.

— როგორ თუ რა დამიშავე?
თავს მესხში წარა-მარაო.
სხვა მიწა-წყალიც გეყოფა,
ეს დამიცალე ჩქარაო.

ძლივს უპასულა ამაზე:
— ეს როგორ შეიძლებაო!
მე გამოღმა ვარ, თქვენ-ვალმა,
რეჩა არ შეიცვლებაო.

უფრო განრისხდა ვერავი.—
როგორ თუ შენ ეს მკადრეო
რასაც მე ეხოა ჩაედივარ,
ის უნდა მექნა აღრეო.

მადლობის ნაცვლად რეგვენო,
მკადრებ საყვედურებსო?
შენ მიპირებდი შეჭმასა,
ესმორა ეს ჩემს ყურებსო.

— ბატონო ჩემო, ასეთ აზრს
ვით გავიგოვბდი თავშიო.
როცა უძღური გახლავარ
და მუღამ ყამს ვარ შავშიო.
ჩემს თავსაც ვეღარ ვპატრონობ,
როგორ შევსძლებდი ამასო.

ჩამომხსენი გეთაყვა,
ჩემო კარგო და ლამაზო!
აქ მხეცი ცოფმა შეიპყრო
და შეუტია „კრავსაო“.

— ტყუილებს მწამებ?... მაშ კარ-
გი!

ესლავ გააძრობ ტყავსაო!—
შენი შექმა რომ მწაღია
მიზნულად ესეც კმარაო.
და ყელში ეცა თავის
მსხვერპლს,
მსხვერპლმა კი სისხლი ღვარაო.
გმუკი.



—შვიდსწავლი მადიციანა, ასტრ ონომია და ყველა მდინიერაგანი,
მაგრა მუშაქოროკის კურის წიგნა-კეზს ვეჩაფხი გავშვი!

კ ა ტ ა კ ი ნ ი ა ნ გ ს

არ გავხდი ღირსი ამ ზამთარში შე-
შის მიღებისათა არ ღირსებოდეს
ჩემს ობლიგაციებს მოგება, თუ ეს ამ-
ბავი ტყუილი იყოს.

საქმე შემდეგშია: ტფილისის მოძ-
რაობის დარგს ამშვენებს მთავარი
კონდუქტორი გრ. ადვიშვილი. ეს ის
ადვიშვილი გახლავთ, რომლის საქმე-
ნი საგმირონი არა ერთხელ ყოფილა
გამოაშკარავებული, მაგრამ ისეთი
კაი ბებია ჰყავს, რომ დახმარებით ყო
ველთვის მშრალი ამოსულა.

აი, ერთი მაგალითი: ის აცილებდა
კახეთის მატარებელს. უკან დაბრუნე-
ბისას სად. გურჯაანში ისე გამეიბრუ-
ჯა ნუნუათი, რომ ამ ქვეყნის ავან-

ჩივანი აღარ გაეგებოდა. როდესაც მა-
ტარებელი გურჯაანიდან გამოვიდა,
დაუწყაო მან ჩვეულებრივი რევიზია.
მეზავრებს, რომლებიც მოდიოდენ
სად. მელაანში და ბადიაურში ჩამოა-
რთვა ბილეთები. ხოლო როდესაც მა-
ტარებელი მელაანიდან გამოვიდა, მან
კვლავ დაიწყო რევიზია და კვლავ
ზოსთხოვა ბილეთები. ხოლო ვინაი-
დან მათ ბილეთი აღარ ჰქონდათ,
უბილეთოებათ ჩასთვალა და დაჯა-
რიძა.

აი, კიდევ სხვა მაგალითი... მაგრამ
ის სჭირია ფაქტები! სულ ერთია,
მანაც ვგრადფერს დაეკლებთ, რადგან
მმეწენიერი ბებია ჰყავს.

კირო.



ნიკიფორე ჩაახლაფორთაშვილს ზედმა გაუღიმა და ინსტიტუტში უგამოცდოთ მიიღეს. მართალია საშუალო განათლების მისაღებად მაინცა და მაინც თავი არ შეუწყუბებია, მაგრამ ისე კი „სულით და გულით თანაუგრძობდა“ იმ ამხანაგებს, რომლებიც საგნის შესათვისებლად დღე და ღამე მეცადინეობდნენ და „შეძლებიდაღვარად მათ მდგომარეობას იზიარებდა“.

ასევე იყო ინსტიტუტში ჯგუფურ მეცადინეობის დროს, თავი ყოველთვის მალა ეჭირა და ამხანაგებს აფხიზლებდა და ახალისებდა. გამოკითხვის დროსაც „ყურზე არ ეძინა“: პასუხებს არ ამზადებდა, მაგრამ ყური და ენა იმდენად გამახვილებული ჰქონდა, რომ სხვებიდან ყურმოკრულ პასუხის ადგილიდან წამოძახებდას იშვითად აუ ცინვე დაასწრებდა.

ასე ახერხებდა საგნის ჩაბარებას, ანუ როგორც სხვები ეძახდნენ, საგნის „ჩაახლაფორთებას“. ნიკიფორემ საგანი ჩაახლაფორთა, ერთი საგანი კიდევ დაახრჩო, — იტყოდნენ წმირად ამხანაგები. პროფმუშაობაშიაც არ იყო ნიკიფორე ჩამორჩენილი: კოპერატიულ კომისიასთან მტკიცე კავშირი ჰქონდა და მოტანილი საქონლის დარიგების დროს რაგში ყოველთვის პირველი იყო.

სავალდებულო - საწარმოო პრაქტიკა ნიკიფორემ შავი ზღვის სანაპიროებზე გაატარა: სოხუმი და ახალი ათონი, გულრიბი და მემცენარეობის ინსტიტუტის მამული ყოველთვის მისი ყურადღების საგანი იყო. მართალია ამ საგანს ჩაბარება არ სჭირდებოდა, მაგრამ მოსვენებული მაინც არასოდეს არ ყოფილა:

ველთვის წინააღმდეგი იყო. მაგრამ მოხდა ერთი მეტად საგულისხმო შემთხვევა: ერთხელ სიზმარში ნიკიფორე დაწმუნდა, რომ მან დაამთავრა ინსტიტუტი, არ გასჭრა პროტექციამ ტფილისში დარჩენის შესახებ და ფაიგზანმა სოფლად სამუშაოდ...

ჰო-და იმ კრებას, რომელზედაც ნიკიფორემ მოხსენება უნდა გააკეთოს სოფლად, ესწრება რაიონის აგრონომი და მისი თანაშემწე, აღმასკომისა და კოლმეურნობათა თავმჯდომარეები, პარტიისა და კომკავშირის უჯრედის მდივნები, კოლმეურნეები და მთელი თემის პარტიული და უპარტიო მასა. საკითხი ეხება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას.

მოხსენება ნიკიფორემ, როგორც იქნა, ჩაახლაფორთა, მაგრამ ჯერი მიღვა შეკითხვებზე და აი, აქ დაიწყო სწორედ მისი ხელმეორედ ტანჯვა და ვაი-ვაგლაგი. ერთი... ორი... ათი... ოცი, ოცდაათი და შეკითხვები აღარ თავედება. ნიკიფორე დღავს. უნდა განაცხადოს, რომ ყველაფერი ეს თავის დროზე და თავის ადგილზე მას უკვე ჩაბარებული აქვს და მოწმობაც ჯიბეში უდევს. უნდა დაიფიროს, რომ ასეთი შეკითხვები გამოკლავს უდრის, რაც ყოველად დაუშვებელია და აკრძალულიც არის... დასკიმა ძარღვები, წამოიწია წინ და... როგორც იქნა გაიღვიძა:

ნიკიფორე გამოერყვა, მოიფშენიდა თვალები და გამჩნეს მადლობა შესწირა, რომ ყველაფერი ეს სიზმარი იყო და არა ცხააი.

ასე ჩაიარა ინსტიტუტის ნაჩქარევად და მთავრების ამბავმა და უადგილო ღელვამ,

შემოდგომა გარდიცვალა, მზემ დაკარგა ძალა მწველი; ზამთარი ადრე გვეწვია ყინვიანი, უღობიერი. არე-მარემ გაძარცულმა გადიფარა თოვლის თეჭა, ნეტავ იმას, ვისაცა აქვს კარგი ბინა, ბევრი შეშა!

ქარი ქრის და დახეარდობს ხან გაჰკვივის, თითქოს მღერსა; რუსთაველისა თეატრში უნდა ვკითხო ანმეტელსა, რისთვის არის, რომ ყოველთვის პიესებს სდგამს მარტო ძველსა, ახალ დადგმებს (ხმები დადის) არ აპირებს თურმე წელსაც!..

სიბინძურე ამნაირი ჯერ ტფილისში არ ყოფილა, არავინ ჰგვის ეზო-ქუჩებს არც საღამოს, არცა დილას, სანტარულ კომისიას მხარ-თეძოზე სძინავს ტკბილად!


კოპერატივი ჩვენი კარვად მუშაობას ცდილობს, მოხარულსა კართოფილსა ორ მანეთად ყიდის კილოს; მოუხარმავს—ორ აბაზად არის სწორედ სასაცილო-ლობიოსაც ამნაირად ვაი, როგორ ვისადილო!

პურის ცნობა ამ ბოლო დროს მთლად გაფუჭდა, ისევე წახდა, გამომშრალი პურის ჰამა ისევე საოცნებო გახდა. საქურტრესტი ბევრს დაგვიპრდა, ბევრსა ახტა, ბევრი დახტა, მაგრამ პურსა, რომ შეხება კვლავ უმცხვარი იგი დახვდა!

სადგური გურჯაანი

მსურს გურჯაანის რკინის გზის კლუბსა შევსხო ჩემი კალმისა წვერი და ჩვენს მკითხველებს გადაუშალო მისი რაობა, მისი ელფერი. აქ კლუბის გამგეთ ბრძანდება ვინმე „საქმის ერთგული და ნიჭიერი“ ძველად ნაცადი, გამოქექილი, (თუმცა არ არის ენლაც ხნიერი). უყვარს ღვინის სმა და დროსტარება ტოლუმბაშია, თამადა ძველი, თუ ჩასახმელი სადმე იშოვა, მხად არის საქმეს გაუშვას ხელი. აქ წარმოდგენას ვერ ეღირსები და თუ ეღირსე,—შეხვედი კლუბში, პალტო, ხალათი, შალვარი, ქუდი აღარ შეგარჩება სკანდალში, ჩხუბში.

10



ხალისობდა, ოხუნჯობდა, თან ამბობდა ანეკდოტებს, და თამრიკოს, პელოს, ნუცას, სთავაზობდა ცარდის ტოტებს.

საწარმოო პრაქტიკა ზოგჯერ ასე ყოფილა, წარმაცეები მგაართო, სიხარული მოჰვინა...

დღეები მიდიოდა. ნიკიფორეც ერთი ბაღიდან მეორეში გადადიოდა. თუმცა ამ სიარულიდან ბევრი არაფერი გამოდიოდა, მაგრამ ამისათვის ხელმძღვანელები არ დარღობდნენ და ნიკიფორეც დარღის ყო-

მაგრამ ამ სიზმარმა ნიკიფორე ერთში მაინც დაარწმუნა: მართალია ხერხი სჯობია ღონესა, მაგრამ თვით ხერხზე და ცულზე-დაც უკეთესია ცოდნა და მომზადება...

სუბტროპიკი.

შალი

ჩემი მეგობარი

— გამარჯობა, პარმენ, გამარჯობა! საიდან სადაო, როგორ ხარ, საით მიემგზავრები? იცნობდეთ, მეგობრებო, საქართველოში ცნობილი და სახელგანთქმული მწერალი — პარმენ ბლაცუნაშვილი. გაიცანი პარმენ შენც, ესენი ჩემი მეგობრები არიან. მეუბნება ერთი ჩემი მეგობარი და მაცხობს თავის მეგობრებს. ეს ერთი შიჯის მეგობრებია. ის ჩემსავით ჯობნის ვილაც-ვილაცების ალბომებში ლექსებს და თავს პოეტად სთვლის, გრძელ თმას უკან ივარცხნის, თვალზე სათვალევებს იდგამს და დიდი პათოსით დადის. დარწმუნებულია, რომ დიდი ნიჭის მქონე ვარ და მე მარწმუნებს აგრეთვე მის გენოსობაშია. ამჟამად ჩემი ნაცნობობით და მავალებს სამაგიეროს მეც. ჩემდა საუბედუროთ, არაფერი დამიწერია და გამოძიება, თორემ ჩემს წიგნებს არც რეკლამა დასჭირდებოდა და არც გამსალეზელი აგენტები, ამ ჩემი მეგობრის მეოხებით ყველას შეძენილი ექნებოდა „გენიალური“ ნაწარმოები. რეკლამა დიდი საქმეა და მეც ამ ჩემ მეგობრის წყალობით ბევრნი „დიდ“ მწერლად მიცნობენ. ერთი ორი რომ შეყავდეს მისთანა მეგობარი, სულ არაფრის დაწერა არ დამჭირდებოდა ისე ვადვილებოდა „ხელზე საგოგმანებლელ“ მწერლად.

ასეთია ჩემი პირველი მეგობარი. — შენი ნიჭი დაუფასებელია, შენი ნაწერები მარგალიტებია, შენი ნამდვილი გენია ხარ. აფსუსი არაა შენი ნაწერები არ იბეჭდებოდეს და ვილაც მაქსიმ გორკის ნაწერები კი ათასობით გამოდიოდეს?! ჰაი, ჰაი, სადაა სამართალი! — მეუბნება მეორე ჩემი მეგობარი. ის არ მწერლობს, არც კითხულობს არასოდეს, მაგრამ ჩემი ნიჭის დიდი პატივისმცემელია. იმდენს მაქვს, იმდენს მადიდებს, რომ ათასჯერ თავსაც დამაპატიებინებს ამ სიძვირის დროს და რამოდენიმე მანეთს გამაცანცვლინებს.

— ნამდვილი სულელია, მაგისაგან კაცი თავის ღღეში არ გამოვა — ამ სიტყვებით „მამკობს“ ხალხში.

ეს გახლავთ ჩემი მეორე მეგობარი.

— კაცო რომ მოდგები და სწერ ჩემო ძმაო, ცისა და ზარისას, ოა ვიშავს: ცოტა წაიკითხო კიდევაც შეკაი კაცო, შოთას რომ ბაძავ, შოთა მართალია დიდი მწერალია, მაგრამ მისი მიბაძვა სახარბიელო კი არ არის, ეხლა რომ მოგიკიდია ხელი და სწერამ სიყვარულის ლექსებს, ქალაქი მინც შეიცოდე, თუ შენი თავი არ გეცოდება. აბა ერთი მით-

ვალ. გაფრინდაშვილი

(მეგობრული შარში)
ნახ. ღონის



ჩემს ლექსებს ეხლა სხვა დადი აზის, მე ინდუსტრიის მოვმართე ქნარი. მაურს კალმისტარი ჰქონდა მე ანჰის, ხოლო მელანი — ქიმიურ ხსნარის

მოკითხვა

„კახეთელი ვარ, იცოდეთ, კაცი, კულაკად ცნობილი, სასადილოში შეგვეყრი, როს გამოძიხნდა ძმობილი“. ასე ღიღინებ კულაკო — სასადილოში — ჯიქია, გლახობამ იცის სუყველა — წარსულში, რაც რომ გიქნია. გვასოვს ტყავსა რომ გვაძრობდი, სოფლად რომ გქონდა ღუქანი, საბილს გვაძლევდი ათფასად, გლახობის ზურგზე მსუქანი, დასაპეტებელი იყავი მშრომელი ხალხის ყველფაში. მიტომ გაგდენეს სოფლიდან, კინწი ამოგაკრეს კეფაში!

რურული

ხარი ვისთვისაა ასეთი ლექსები საჭირო. არც ერთი არ ვარგა.

— „არც ერთი არ ვარგა! სიამს დიაგნოზს. მე ყურაბამდე ვწითლდები, ბრაზი მომდის, გამოვიღვარ.“

ასეთია ჩემი მესამე მეგობარი. დანარჩენი მეგობრებიც მყვანან, მაგრამ ისინი ზემოჩამოთვლილ მეგობრების გარშემო ერთდებიან და მათ შეხედულებას იზიარებენ ჩემზე.
პ. ოპოლი.

სოხა რამ უკოზაა

კოოპერატივის განაგებს ვალარო გველესიანი, ძმა-ბიჭებისა ერთგული კაცი მარდი და ფხიანი. თუმც ძვირად მოდის ხოლმე აქ სიმინილი, ნარმა, ჩითია, მოვა და... მსწრაფლ გაფრინდება როგორც ფრინველი ჩიტია. გველესიანმა ძმა-ბიჭებს ხორბალი ბლომად არგუნა! ტომრებით მისულ გლეხებს კი ფეხები დაუბრაგუნა: ჯერ ჩვენთვის გვინდა. ხომ ხედავთ ტანსაცმელ-ფეხსაცმელია! გაბრუნდით, თორემ იცოდეთ... უნდა ვთქვა, რაც სათქმელია: აღმასკომს თანამშრომლები დაუგზავნია სოფლადა ქორწილ-ქეიფებს აწყობენ, სმაში დნებიან ოფლადა! თემსაბჭოს თავმჯდომარე კი მიმართავს შავ-სილიებსა: ფიქრსა და აზრსა კაცისას დროებთ ატიალებსა. თუმც შარშან მსურდა ზოგისთვის ხმა აღმედგინა წკარუნა, წლეულ სულ სხვა... იირ ვიზამ! რალაცამ გააწკარუნა! და ასე, ძმაო ნიანგო, რიგზეა ყველაფერია; თუ ჩამოვიღი ცოტა ხნით ბევრს შეეცოდება ფერია!

ღუკრისხანი

ოზურგეთი

„ლონინის დროშა“-მ ასუქა სოსო და არც დარჩიას დააკლო ხელი, ლომინაძეს კი რაიკაემირთან ცნობებისათვის თმი აქეს ცხელი. ბარნაბს რა უქირს, „ბავშოთა მეგობარს“

„დაეპატრონა“ ის როგორც ქორი, (ამბობენ ფულის ხშირ ყლაპვისათვის)

საყვედური აქეს მას ხუთჯერ ორი) სოლომონი კი „ფეიქარ ქალში“ თურმე განაკრძობს ქალებში ფათურს

ეს თუ არ გჯერათ, დ. მდინარაძეს ჰკითხეთ, მაშინვე ის მოგვცემს დასტუტა)

ვინ სთქვა, რომ „ეპო“ არ მუშაობსო?

ფართოდ იზღებთ სავაჭრო ქსელი, ნოქრები „საქმიო დატვირთულია“, „მოწყვეტილი“ აქეს სულ ყველას წელი

დღეს ქრისტეფორეს გვერდს, რომ უმწვენებს,

ისაკი არის ტულუში ჩემი, (მათ ოზურგეთში ველარ იბოვით თუ გინდ ელოდით თვეები მთელი).
ვალფარვაბი

თავდადებული თავაქალოვი

თავაქალოვ მიზაზე ამბობენ, რომ მისი ნამდვილი თავაქალოვია... უყვარს გეგმის შენება... უფრო ცხენის ჰენება.

ტირიფონის არხზე სწარმოებს მუშაობა. არსებობს მუშათა კომიტეტი და ამ კომიტეტის თავმჯდომარე თავაქალოვია.

საწარმოო ტრიბუნალი არჩევს საქმეს. შემოდის თავაქალოვი. ნასვამია, სკამზე ეძინება. ხელით გაჰყავს ის ორ კაცს. კრება იმდენად „შეგნებულა“, რომ პროტესტს აცხადებს: სხდომაზე მთვრალს რა უნდა!, მუშაკომი ასეთ მაგალითს უნდა გვიჩვენებდეს?!

ვერავინ გაიგო, რომ თავაქალოვმა ასეთი საქციელით ხალხს უთხრა: „მთვრალ კაცს სახლში უნდა ეძინოს, თორემ ჩემსავით მარცხი მოუვა.“

ასეთივე მაგალითი მოიყვანა მან, როცა მეჯვრისხევიდან გორისაკენ ცხენი გააქენა, გლეხის ძროხას დააჯახა და ფეხი მოსტეხა.

თავაქალოვმა გადასწყვიტა წარმოებისათვის ხელის შეწყობა. მიიღო თავის თავზე ვლადებულება, რომ ოთხ სექტემბერს წავიდოდა ხელთშეზღუდულში, კარალეთში, სვენეთში და კოლექტივებთან დასდებდა ხელშეკრულებას მუშების გამოყვანაზე.

დილით, 4 სექტემბერს თავაქალოვს მეჯვრისხევიში ვეღარ ხედავენ. უკვირთ მისი ასე ადრე წასვლა საქმეზე და აქებენ ერთგულ მუშაობისათვის.

მაგრამ, მეორე დღეს ირკვევა, რომ თავაქალოვი მთაში წასულა, მდინარე მეჯვრულას ნაპირებს შეყოლია. სათევზაოდ.

ეს კიდევ არაფერი. თუ რამდენად მავნებელია ორობა და თრობის შემდეგ ჯიოთი, ამის დასამტკიცებლად ლენინის ქუჩაზე სწორედ სავადმყოფოს წინ, გაჭენებულ ცხენიდან გადმოვარდა, თავი გაიტეხა და ერთ კვირას იწვა სავადმყოფოში, კიდევ ვინმე გამოვა და იტყვის—თავაქალოვი თავდადებული კაცი არ არის. (ეს კაცი თავს არ ზოგავს, რომ დაამტკიცოს. თუ როგორი ცუდი საქმეა სიმთვრალე):

ამბობენ—თავაქალოვი გორში გადაყავთ აღმშენებელთა კავშირის თავმჯდომარეთი. ჩემის აზრით, გორიც ძალიან მცირე მასშტაბია ასეთი თავდადებული კაცისათვის. საჭიროა კიდევ უფრო დაწინაურება, რომ სხვებიც წახალისდნენ და ენერგიულად იმუშაონ. სიმონ ალა

გურული სცენა

ახალგაზრდა გოგომ გადასძახა მეორეს:

— ზეგზინია, ზეგზინია გოგო. რავე დაგეფსო ყურები! სად დეიკარგე... ზეგზინია—მეთქი!

დიდი ხნის ძახილის შედეგ მოისმა:

— ვინ ხარ მაქანე—ალაგეზე, ვინ! რავე წვილე ყურის დაზაბანდი.. (გამოჩნდება) უი, ჩემი სიკვტილი და აგია! რავე, შენ ხარ გოგო სერპინია?! (—შეხედებინა).

— დედა. დედა! შეგაჩვენოს ჩემმა გამჩენმა, რავე კუპატივით ხარ გოგო ჩაბრაწულ—ჩარგვალეული, თითი გკრას კაცმა ვასკდები... ნეტა იცოდე, როგორ გიხთება წითელი თავსაფარი..

— გაეცკა მიწა-ისე, რავეარც მამი მართალი არ იყოს! რა გამასუქებს გოგო! მთელი დღეი ყანაში ვართ. სადაა მოსვენება, ჩვენი კოლექტივი წინ მიდის! მოაქვს და მოაქვს...

— რა მოაქვს გოგო?!

— რა მოაქვს და ჩვენი სოფლის ბედნიერება! გამოდის გლეხობა, მოდის ოჯახი—ოჯახზე! დიდი და პატარა ჯარსავით ტრიბუნებს, აგურ მოდის ტრაქტორი, უკან მისდევს მაშინები... შენდება მარა, რა შენდება: აგურ შკოლა, აგურ—კოოპერატივი, აგურ—აგრო პუნქტი, სავადმყოფო, ჩიის ქარხანა, პურის ბეღელი; საქონლის საკვები, ქონ—სამკითხველო და თეატრო. ქუხს რადიო და იტელება დიდი კოლექტივი... სოციალიზმს საცაა წავავლებთ კუდში ხელს...

— კაი, კაი, გეყოფა ტრაბახი... კი მარა გოგო, რას ერჩოდით ივლიანე ტრაბაიქს, იცი რამდენი უქნია იმას ჩვენი სოფლიზა?!

— რას მიჩივი გოგო მაგას! რავე, კულაკებიზა შენდება გგონია აი ქვეყანა?! ახალი ქვეყანა ჩვენია ბიძია, ჩვენი. ივლიანე და მისი მეგობრები ჩაკვდნენ მის პატრონს. აბაა!...

ვასო ურუშაძე

ნახ. დონის



— ტყვილად ვსაყვედურობდით, რომ პატარა ნომრის ბოტები არ არის... დიდი ნომერი სჯობია თურმე!

სცენა ტფილისის

განათლების განყოფილებაში

ბრიგადა:—პროტექტორნიზმს საქმესა თუ არა თქვენთან ადგილი?

ორგინსპექტ.— გეფიცებით სინდისს, წელს სოფლიდან ტფილისში არც ერთი მასწავლებელი არ გადმომიყვანია, გარდა ჩემი სამიოდე ნათესაისა.

ბრიგადა:—არის თუ არა ბიუროკრატიზმის შემთხვევები თქვენს დაწესებულებაში?

ორგინსპექტ.— უფრო არა, რადგან დაპირებას არავის ვუსრულებთ, არც ყურადღებას ვაქცევთ, როცა მობეზრდებით სიარული, თავს თვითონვე გვანებებენ.

ბრიგადა:—ამბობენ, რომ ორგინსპექტორმა უდიერი მოპყრობა იცის მასწავლებლებისადმი.

ორგინსპექტ.— რაც შეეხება ლანძღვას, რა გქნა, სამართლიან შენიშვნებს ვერ ვითმენ და ლეღვით მომოდის, ხოლო ყვირილი და მუშტი აუცალბებელია იქ, სადაც სიტყვა არ სჭრის.

ბრიგადა:—როგორ სღვას თქვენს სკოლებში ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმე?

ორგინსპექტ.— ეს არც იმდენად საინტერესო საკითხია, რადგან მას ჩვენს სკოლებში ყველა ასწავლის. ამიტომ უფრო ხშირად მათემატიკის მასწავლებლებს ვუწაწილებთ ამ საგანს დამატებითი საათების სახით.

ბრიგადა:—რა გააკეთეთ პოლიტეხნიზაციის ფრონტზე?

მეთოდინსპ.— არაფერი, გარდა იმი სა, რომ „პროექტთა მეთოდების“ საფუძველზე შედგენილი პროგრამები ადგილებზე ვადაზი ადრე დავგზავნეთ.

ბრიგადა:—თქვენ ხომ იცით, რომ ეს „პროექტთა მეთოდი“ უარყოფილია. შეიტანეთ თუ არა რაიმე შესწორებები?

მეთოდინსპ.— ეე, მოგცლიათ თქვენ ვინცხა ხართ, ამდენი რომ ვიცოდე, აქ ვიქნებოდი?

ბრიგადა:—ამბობენ, რომ ინსპექტორთა უმრავლესობა სკოლების ხელმძღვანელობის დროს იჩენენ მეოლოდიურ უცოდინარობას.

ჭელიძე და გორგაძე (ინსპექტ.) — მიქარავს, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ ცოდნის შეძენისათვის დროს დავკარგავთ.


ბრიგადა:—დანარჩენი ინსპექტორები სად არიან?

დარჯვი: (ბრიგადას)—ესენიც შემთხვევით არიან დღეს, თორემ მაგათ იშვიათად ნახავს აქ კაცი.

კალმახი.

ნიანგის საკბილო

**ფოსტა თუ ეკლესია
ნებაზ რისი მიზეზია?
(გურჯაანი)**




გურჯაანის ფოსტის გამგე თურმე მორწმუნე კაცია, მიტომაც ფოსტის კანტორა მან ეკლესიით აქცია. ყოფილი მღვდლები, მსუქნები მასში მსახურობს ბევრია, ზოგი სცემს ფოსტალიონსა მუშტები მოუღერია! ამბობენ—გამგე აპირებს კვლავ ჩხვების მიღებასაო; „ვისაც რა უნდა ისა სთქვას თავი ახალს ქებასო“.

(ლაზის თემი, გურია)

აქაურსა ფოსტასაც უნდა მოეცხოთ ძალიან, რადგან თავის დროზედა წერილებს არ გზავნიან. ფოსტის გამგე—მძინარა უთავე და ბეცია, ნიანგო—მოგვეშველე დაჰკარი მაგ ქეციაანს!

**უნდა ავუფხვთი ზურგია,
როცა ნოქარი ჰურღია!**


(ხარაბოშლი)



ხარაგოულის ფურნისა ნოქარი არის ქურდიო, რისთვისაც შეუბრალებლად უნდა ავუწვათ კუდიო. მუშებს ატყუებს წონაში და ნაკლებს აძლევს პურსაო, პატრონი არ ყავს არავინ მას ჩადის რაც რომ სურსაო. გამგეობა კი ვერ ხედავს ასეთ წერილმანსა რამესო, დღითი ქეიფობს, ითვრება და ტყბილად სძინავს ლამესო!

**მოლარე უვარგისია,
კარგი პანაშურის ღირსია!
(ჭუთაისი)**

ქუთაისში „სოიუზტრანს“ მოლარედ ყავს ვინმე კვაჭი, თავის დროზე სამსახურში მას ვერ დაინახავს კაცი. თვის ძმა-ბიჭებს და მეგობრებს ბილეთს აძლევს მხოლოდ იგი, ხალხი იქვე ამაოდ დგას გაუმართავს გრძელი რიგი.



დღე გაივლის ერთი-ორი ბილეთს ვერ იშოვნე შაინც, ვაი იმას ვინც ვერ იტნობს ჩვენს მოლარეს, ჩვენსა რაინდს!

**უკეთესი არ იქნება
სასადილო, ხალხის კვება!**

(ალბანა, ცხაბერის რაიონი)

ჰერი ჰიკო, კაკანაო, მოდი, ენახოთ ალბანაო. მოდი ენახოთ სასადილო, და გადავკრათ ყანწით ღვინო. ვისაც უნდა კარგი კვება — უკეთესი სად იქნება. აქ არის რომ მოგართმევენ მკვდარ კამეჩის სოუსს, ხაჩაპოს, (სულ ერთია ჭირმა მოჰკლა

თუ მდინარე ტყედავრჩეოთიქვა მოგართმევენ და მიირთვი რას დაეძებ ასეთ რამეს, (ერთი კვირა სჭამენ კამეჩს და არ იქნა ვერ შეჭამეს!) ჰერი ჩვენო ალბანო, შეგედრება სხვა განაო?

**არსად არის უკეთესი
სასადილო, რიგით, წესით!
(გიბათურა)**

კიათურაში ვიყავი დიდი საჭმე მჭონდაო, წვიმიანი დარი იყო ცივი ქარი ქროდაო. სასადილოში შეველი პურის ჭამა მსურდაო, მაგრამ ვაი, რომ სურვილი ტყვილად გამიცრუდაო. სასადილო აუღია მშვიერ ძალღათა ჯარსაო, ხან დარბაზში თარეშობენ ხანც უფლიან გარსაო. თუ დაჯეჭვი სასადილოდ ვაი შენი ბრალოო, კეოძ! იმ წამსე აა-ცლიან



ვერ იხილავს თვალიო. გამგე უტყუროს ამ სერიუსა, ეტყობა რომ სტკებულო, სასადილო უკეთესი მართლაც არ იქნებაო!

ქ ი რ უ ლ ა

სას ქინად ძირულაში ვასიკო მდივნიშვილის სახლის წინ ხალხი შეკრებილიყო.

—რა ამბავია ამხანაგებო, ვასიკო მდივნიშვილი ხომ არ მომკვდარა?— ვიკითხე მე.

—რომ მომკვდარიყო სჯობდა, მი პასუხა ერთმა. — ზესტაფონიდან კო-ქოსიაა მოსული, სახლში არიან და ჩხრეკენ. ბურმე ვასიკოს ჩუმჩუმად უზიდავს საქონელი ზესტაფონის მუ-შკოაობის საწყობიდან და საკუთარ კოაპერატივი გაუღია, ნოქრათ თა ვისი ცოლი— მაკრინე დაუყენებია ეხლა მგონი აღმოჩენილი საქონლის ფაქტურას ადგენენ!

ამ ამბავმა დამაინტერესა და შევედი სახლში. ეხედავ: კომისია ზის და ფაქტურას ადგენს. კითხულობენ აღმოჩენილი საქონლის ფაქტურას და მეც გულიანათ მოუღმინე:

ფაქტურა № 1 ვასიკოს საკუთარ მალაზისა.

1. ქალის ტუფლები—10 წყვილი;
2. აბრეშუმის თავზე მოსახვევები 6

3. ცალი; 3. მიტკალი—20 მეტრი;
4. მამაზია—10 მეტრი;
5. კაცის „ბატინკები“—9 წყვილი;
6. წინდები ქალის—12 წყვილი;
7. წინდები კაცის—15 წყვილი;
8. იარღალი—18 მეტრი;
9. საპონი—20 ნაჭერი;
10. კოჭის ძაფი—30 ცალი;
11. ხავერდი—30 მეტრი;
12. შალი—15 მეტრი,

კიდევ სხვა მრავალი საქონელი და 1.700 მანეთი ნაღდი ფული.

ცოტა ხნის შემდეგ ვასიკოც მოვიდა, რომელსაც ნაქურდალი საქონელი მოჰკიდეს ზურგზე და დაპატიმრებული წაიყვანეს ზესტაფონში. ამ შემთხვევის გამო ხალხი ასეთ ლექს მღერის:

**ნელა ნელა ზიდა სახლში
ვასომ ტუფლი, ბამაზია,
და გაალო ნაქურდალით
საკუთარი მალაზია;
შიგ ნოქარიც დააყენა
თავის ცოლი ლამაზია,
და გასუქდა ქურდი როგორც
გარეული გავაზია.**

კიკიბა.

კუკატაპის ლექსიკონი

(მოქმედება სწორდება სოფ. ზელა-საზანოს
ოთხსულედში ჩხარის რაიონი)

კოლია კუკატაპი (ოთხსულედის გამ-
გე. დაიარება სკოლაში და თავისთვის ღი-
ლინებს შემდეგ გადის სკოლის ეზოში და
ეძახის მოწაფეებს):—აბა, ბავშვო, ყველა-
ნი დადექით მწკრივში. (მოწაფეები საჩუქ-
რით დგებიან).

სმენა... მარჯვენით, სწორადით! შენ, პეი,
ინდაურო გაეთრიე მალე მწკრივიდან
მოწაფე (შემიწებულნი)—რა დავაშავე
ბატონო, მამ...

კოლ. კუკატაპი (ყვირილით—შე მუ-
ტრუკო, ლაპარაკს მიბღღე?! (მეორე მოწა-
ფეს) ავაკი, ძანწური მაგ... გააგდე ახლავე
რიგიდან! (მოწაფე პანწურის კრტყმევით
ავდებს) სმენა!... ყურადღება ჩემსკენ! თხლა
ჩვე წვაღათ...

მოწაფეები (ერთხმად) სად, ბატონო
მასწავლებლო?!..

კ. კუკატაპი (ყვირილით) მუტრუკებო!
ტყის ქაჯებო! დამსრუტე...
პინოთა - მესმის, ბატონო მასწავლებ-
ლო.

კოლ. კუკატაპი—რა გაიგონე ჯერ შე
პინოთა! ვთქვი რაზე?

პინოთა (კანკალით) როცა იტყვი მა-
სწავლებლო რამეს, მაშინ გვევიგონებ...

კოლ. კუკატაპი—ბიჭო, შენი ჩიჩინით
თავი მაქვს გახეთქილი და ციდე ვერადერი
ჩაგყარე მაგ მუტრუკ თავში?! (მიღის და
აუწყებს ყურს). „გვევიგონებ“ კი არა—„გავი-
გონებ“—გესმის?!

მეორე მოწაფე (ეძახის) მასწავლებ-
ლო!..

კოლ. კუკატაპი—ჰო, რას იტყვი, ხე-
პრე!

„ხმარა“—იმას, რომ... თქვენც შეგეშა-
ლათ, ბატონო მამ...

კოლ. კუკატაპი (აწყვეტინებს სიტ-
ყვას)—მე... მე შემეშალა რაზე!!

„ხმარა“—დღლით... ახ მამააა...

კოლ. კუკატაპი (დამშვიდებული) მე-
რე რა უყუთ, რომ შემცდა. შე სულელო,
გისაც ბევრი ესმის, ის მულამ შეცდება. ფაი-
ბი შე მუტრუკო.

„ხმარა“—გავიფე ბატონო მასწავლებ-
ლო.

კ. კუკატაპი—სმენაა... (ამ დროს ქუ-
ჩაში გამოჩნდება ცხენიანი კაცი და ყველა-
ნი იქით მიიხედავენ).

მე-4 მოწაფე—მასწავლებლო, აი, ის
ცხენი სჯობა თქვენს ცხენს.

კოლ. კუკატაპი—რაგა ჩერჩეტობ ბი-
ჭო, ის ცხენი აჯობებს ჩემ შვც ცხენს?

მე-4 მოწაფე—ჩემი მამისული წამიწ-
ყდეს თუ არ აჯობოს მასწავლებლო.

კოლ. კუკატაპი—(დღი ხნის შემდეგ)
არა... შეიძლება კი აჯობოს მარა... ვერ
აჯობებს მარა... თუ აჯობა მხოლოდ თო-
ხარიკში.

მე-4 მოწაფე—ნაბიჯითაც აჯობებს,
ბატონო მასწავლებლო!

კ. კუკატაპი—რით უნდა გავიგოთ ეს-
ლა მაგ საქმე?

მე-4 მოწაფე—ყველა მოწაფეები გა-
ვეკიდებით, ბატონო მასწავლებლო. დავა-
ბრთხოებთ და მამინ გამოჩნდება ყველაფე-
რი.

კოლ. კუკატაპი (თავისთვის ეაკვირ-
ვებით) ბიჭო?! კარგი მოაზროვნე ბავშვი ყო-
ფილა ეს... (ეძახის მოწაფეებს)—გაიქეცით
ყველანი სიბილით ცხენისაკენ (მოწაფეე-
ბი გარბიან, ერთი მეორეს ეტაკებთან, ზო-
გი მიწაზე ეცემა, ზოგს სისხლი დასდის
ცხვირში, გაიმართება ერთი ალიაქოთი.
ყვირილი, ტირილი-ცხენი დაბრთხება და
გარბის)...
ნაბრძლი

აქა აგგავი ეფენი თავგჯღომარისა

აქა ამბავი იწყება
ემენი თავგჯღომარისა,
კაცია ტანათ საშულო,
მფლობელი მთელი მხარისა.

მოქეიფე და მომლხენი,
დამშვენიელი თემისა,
დღით სამსახურის გამცდენი
ხშირად ჩეიფში თევიტა;

კოლმეურნეთა სიმინდი
მან ბევრი გაამაქნისა;
რაქდენს ურემით მიართვა,
სხვებს კილოც აღარ აღირსა.

ხალხის საკეები სიმინდი
ღვინოზე გადასცვალს და
მით თემის სასადილოში
მან შემოსძახა „ვარადა“.

იყო სულ ხშირად ქეიფი,
(თქვენც ქე მიხედებით თავადა)
ნოე გიტარებს უკრავდა
ქეიფის დასათავადა.

არ მოსწონს ილოს ეს საქმე,
მაგრამ ის ბულალტერია;
რა უფლება აქვს გამგეს, რომ
მან შეუშალოს ხელია?

ბევრ ოწესობას ხედავდა,
მაგრამ ყურზობა ილია;
ამდენი ფიქრით და დარდით
სულ უფრო ჩამოილია.

აქვეა ერთი კაცი და
თემის საწყობის გამგეა;
გაიმასქნების მოყვარე
სიმართლის მოქადაგა.

(ასეთი კაცი საწყობში
აბა საიდან გვარგა?),
ხალხის სიმინდის წამგლეჯელს
უნდა აეკრას ბარგა.

ბა-ბუხი.

სოფ. გორდი

(ხონის რაიონი)

„ნიანგო“ მოგესალმები,
ძმური სალამით შორიდან.
„მეხი“ ვარ შენი ნაცნობი,—
ნაცნობ სოფლიდან—გორდიდან.

შალიკო ქუთათელაძეს
იქნებ იცნობდე ძამია,
ამ ჩვენს „ეპო“ში შემძვრალა
აღბად იქ ჭამაც სწავლია.

ტანად მაღალი, სქელ—სქელი,
„მკლავაძეობას“ ჩვეული.
ბეგრჯერ მინახავს სიმთვრალით
შემილილი, გადარეული.

—გლენებს ისტუმრებს მუქარით,
ხომ იცი: ძალზე ყბედია,
საქმეზე მისულ კაცს მასთან
სიტყვა ვერ გაუბეღია.

ნოქრებზე გეტყვი ორ სიტყვას,
ნამდვილი არის. მართალი:
დამზადდება მოსული
„ქმა-ბიკებს“ მიაქვს ფართალი.

მეხი.

ორთაჭალა

აქა ამბავი, ნიანგო,
დაგროვდა მოსაწერია...
ხშირად გნატრულობთ, მოგვლით...
არ დადგა ჩვენი ჯგერა...
რასაც ვიამბობს, მოგიხრობ,
მერწმუნე, დასაჯერია...

არ იქნა, აღარ ემველა
მეზავრობის საქმეს წამხდარსა,
ზაფხულის განაწამები,
აბა ვით შევთხედეთ ზამთარსა?!—

ტრამეა დადგა, დაკულდა.
დადის ზღაწნით და მთქნარებით,
სათში ვერსსაც ვერ გადის,
სცემე, თუ გინდა სარგებით...

უცდი და გული დაღალდა,
ზოგჯერ ლოდინიც ფუჭია,
სამსახურს გადაგვიწყებს,
ავიჯახყდება კუჭია...

თუ მოგა, აქ მოგროვდება, —
მოგა ოთხი ან მეტია,
ვიდრე ჩაჯდომას შეძლებდე,
თავს დაგესმება რეტია...

ჩაჯდები, წავა მძინარე,
აუჩქარებლად ცოცვითა...
ნიანგო, გამოილვიძე
შენი ჩანგალით, ცოცხითა...

ბრ. წითელ - მთიელი.

დებეშა ქუთაისიდან

(ღათა თათათაჰიხის ცოცხლად
კოვნის გამო)

ამ რამოდენიმე ხნის წინად ქუ-
თაისს შეემთხვა ასეთი ამბავი: კაცი
დაეკარგათ დიდთასიანი, რომელსაც
გენიოსად მოჰქონდა თავი.

ექებეს ყველგან, ვერსად ვერ ნახეს
იმისი სახე, ველარც ცენტრში და ვე-
ლარც რაიონში: ხომ არ დაიხრჩო
თავი რიონში?

შემდეგ აღმოჩნდა მეტად სამსუ-
ხარო ამბავი: თურმე დათიკოს დაკ-
ლებოდა ფქედერაციის ფული. ამი-
ტომ იყო, რომ ქუთაისს აარიდა თა-
ვი და არსად სჩანდა კაცი დაკარგუ-
ლი.

ჩიინ კი ბათომიდან მივიღეთ ინო-
ბა სწორი, რომ დათა დაფრინავს
(ბათომში) როგორც ქორი.

რედაქციაში მსახურობს. აკეთებს
ფულოებს ბლომთა. ვარდაიქცა კაცი
ლომად.

ნულარ იგლოვიებთ დათიკოს. ან
რა აქვს საგლოვარია! კაცი ქეიფობს
ბათომში „ენატქილ მოუბრია“.

ფულოების გადახდაზე კი შემოგით-
ვალათ უარია.
აკაქუანო.

კინო რეჟისორი

— რას შერები, სოსო, როგორ ხარ?

— რას ვიზამ, დავდივარ უსამსახუროდ!

— რატომ, კაცო ეხლა უსამსახუროდ არავინ რჩება და შენ რა დაგემართა?

— კინოში მინდოდა მოწყობა, ძალიან ხოში მქონდა, მარა იქ ვერაფერი ვიმოვე.

— კინოში თუ გინდოდა, მე ვერ მითხარი!

— რავა, შენ იქ ხარ თუ?

— არა, მე გაგაცნობ ისეთ კაცს, რომ...

— არიქა მიშველე, თუ ძმა ხარ, სტატისტათ მაინც მიმიღონ იქნებ.

— წამო, გავიაროთ ერთად, იქნებ შეგახვედრო იმ ჩემს შეგობრებს, საქმეს გაეჩარხავთ.

— მიშველე თუ ძმა ხარ და პატივისცემა ჩემზე იყოს!

უპ, აგერ მოდის ვინც გვინდოდა, ჩვენი ვალოდია, კინო-რეჟისორი, დიდი გავლენიანი კაცია სახკინმრეწვში, თანამემწეც თან მოყვება და ოპერატორიც.

სოსოს სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა.

ამხანაგმა გააცნო სოსო იმათ. ისინი სადღაც მეზამბეობის არტელში მსახურობდნენ და კინოსთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონათ თავის დღეში.

— ამხანაგო, ჩვენს ძმას სოსოს კინოში უნდა მოწყობა, — დაიწყო ამხანაგმა და თვალი ჩაუკრა ამხანაგებს.

— პაჟალსტა! — წამოიძახა „კინო-რეჟისორმა“, — მაგაზე ადვილი რაა, ოღონდ სადმე ცალკე მოვილაპარაკოთ ოდესმე.

სოსოს „ოდესმესთვის“ სად ეცალა. წამსვე შეამოწმა თავისი ჯიბე, რომელშიც სამი თუმანი კიდევ ჰქონდა და იქვე მახლობელ სასადილოში მიიპატიჟა ოთხივე ამხანაგი.

— აგერ ერთი წუთი ჩამოვჯდეთ, და ჩემს თავსაც გაგაცნობთ, ამხანაგებო! — მიმართა სოსომ.

გაჩაღდა სმა და სადღეგრძელოები.

— რის სტატისტათ, კაცო სტატისტად კი არა, პირდაპირ სარეჟისორო კადრებში ჩაგრიცხავთ, — პირდაპირ, „კინო-რეჟისორი“, რომელიც განთქმული ტოლუმბაშათ ითვლებოდა ტოლებში და რომელიც კინო-

ში მხოლოდ ორჯერ იყო ნამყოფი. — ჯერ რასაკვირველია თანამემწედ და მერე ნამდვილ რეჟისორად. მაშ გაუმარჯოს რეჟისორის თანამემწეს სოსოს, ვუსურვოთ მას წარმატება!

სოსომ მოწონებით დაუკრა თავი.

— კი, მარა სულ თანამემწედ ხომ არ დარჩება, — წამოიძახა მეორე „რეჟისორის თანამემწემ“, — გაუმარჯოს რეჟისორს სოსოს..

ორი კვარტი და ორი მწვადიც. — გასძახა სოსომ.

— ამხანაგებო. — წამოიღვა „ოპერატორი“ — გაუმარჯოს იმ კინოსურათებს, რომლებსაც დღემაც ჩვენი რეჟისორი სოსო. თუ მიკადრებს და თავის სურათებს მე ვადამაღებინებს, ხომ კარგი!

ოპ, როგორ გეკადრება, ჩემისთანა თავმდაბალი და გულკეთილი კაცი რომეთა, როგორ გეკადრებათ! — შეიფერა სოსომ და ძმაბიჭებს თავი დაუკრა.

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მიყვებოდა.

— ამხანაგებო. — წამოიღვა ეხლა სოსო ამხანაგი, — გაუმარჯოს იმ ავტორებს, რომლებიც ჩემი სახელოვან რეჟისორის სოსოსათვის სპეცია-

ლურ კინო - სცენარებს დასწერეს. — ვაშა. — წამოიძახეს ერთად და ტაშით დალიეს სადღეგრძელო. აცრემლებულ სოსოს თავბრუ დაესხა. ვინ იცის კიდევ რამდენი კვარტი დაილიეოდა, რომ ღვინოს თავისი არ ექნა.

— ანგარიში. — გასძახა სოსომ.

— შეიძ თუმან ნახევარი ვახლავს! — იყო პასუხი.

ჯიბეში ხელი ჩაიყო, ხოლო დანარჩენი ამხანაგები წამოიშალენ და ბანცალით და ქანქალით კარებისაკენ გაეღურნენ.

სოსომ სამი თუმანი მიაჩეხა სასადილოს პატრონს.

— ეხლა ეს მიიღე და დანარჩენს ხვალ მოგიტან.

— საიდან მივიღებ, ამხანაგო?

— საიდან და სახკინმრეწვიდან, მიკითხე იქ, რეჟისორი სოსო ტარიელაშვილი და მოგცემ.

სოსო ყოველდღე სახკინმრეწვში დადის და კითხულობს იმ „კინო-რეჟისორებს“, რომელმაც კინოში მოწყობა დაჰპირდა.

ნიკიტანიც დიდხანს დადიოდა ნისის ასაღებად სახკინმრეწვში და კითხულოდა „კინო-რეჟისორ“ სოსო ტარიელაშვილს.

დავიღარაბა.

ნახ. ღონის



შეჯამე ნიცმე და ზარატუსტრა ვითარცა დილით ცხელი „ზაკუსკა“. მეც ვსწერ რაღაცას, ვსტუდ აურ-ზაურს, ყველამ იცოდეთ „ასე სწავს ლაფს“.

შეჯიბრი წყევლაში

(ალპანა, ცაგერის რაიონი)

თამარა: წვეიდა შენი ოჯახი უკან უკან ისე, რავარც ჩვენი ალმასკომის წყალობით უკან-უკან წვეიდა ჩვენში წყლის გამოყვანის საქმე.

მაკრინე: დაგამუნჯა ღმერთმა, რავარც ჩვენს სამკითხველოში დადგმული რადიოა დამუნჯებული, რომლის ალაპარაკებას ვერავინ ელირსა.

თამარა: აგერია ოჯახი, როგორც ფეხსაცმელების სარეწაო არტელია არეული.

მაკრინე: დავენგრა სახლკარი, რავარც სოფ. საირმის კლუბია დანგრეული, სახურაჲ გადაგლეჯილი და კედლებ მიმონგრეული, რომელსაც ყურადღებას არავინ აქცევს.

თამარა: შემესაუე, მომიკვდი წყურვილით, როგორც ალპანაში და კერძოთ გლეხკომის სასადილოში მოქალაქენი წყურვილით კვდებიან.

მაკრინე: არავინ დაიჯერა შენი, როგორც ალპანის თემის ორგანიზაციებს არ სჯერათ გლეხკორების მითითებების, როგორც კედლოს გაზენთებში, ისე რაიონულ გაზენთებში — ნაკლის გამოსწორებისათვის.

ახალი

